# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№22 (9.736)

11 – 18 ივნისი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.2

## ნამების დანაშაულებთან დაკავშირებულ პირებს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა აეკრძალებათ

## ნაკვეთების გადაწვის აკრძალვა – მოსახლეობის არჩევანი

გვ. 5

დავით ნათელაძე: „მესამე წელია ახალი მეთოდით ვამუშავებ მიწას და ვახდენ ნამჯის ჩახვნას, რამაც უკეთესი შედეგები უკვე მომცა. მთლიანად მიწის სტრუქტურა გაუმჯობესდა, მოსავლიანობაც გაიზარდა. ამასთან, შემიმცირდა ხარჯები.“

## პოლიტიკური ეთიკა

გვ.3

## 13 ივნისი – ერთი უთვალავმზეებიანი ქალაქის ისტორია

გვ.3

## მოტყუებით წაყვანილი ბავშვები და მშობელთა პროტესტი

გვ.5

## ბუდაპეშტში ქართული ქვევრის ღვინის პრეზენტაცია გაიმართა

გვ.2

## ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

# გიორგი კვირიკაშვილი ანგელა მერკელს შეხვდება

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი 15 ივნისს გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდება. პრემიერ-მინისტრის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 15-16 ივნისს გაიმართება. გიორგი კვირიკაშვილისა და ანგელა მერკელის შეხვედრაზე განსახილველ თემებს შორისაა საქართველო-გერმანიის ორმხრივი ურთიერთობები, ასევე, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი და ვიზალიბერალიზაციის საკითხი. შეხვედრის შემდეგ პრესისთვის ერთობლივი განცხადებები გაკეთდა.

# წამების დანაშაულებთან დაკავშირებულ პირებს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა აეკრძალებათ

წამების დანაშაულების შესახებ მომზადებულ პარლამენტის დადგენილების პროექტს ემატება პუნქტი, რომლის მიხედვით, ასეთ დანაშაულებთან დაკავშირებულ პირებს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა აეკრძალება.

დადგენილების პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა ეკა ბესელიამ ამასთან დაკავშირებით უმრავლესობის წევრების პოზიცია გაიზიარა.

"დადგენილებაში შეგვიძლია შევიტანოთ, რომ აეკრძალოს საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება, ასევე პოლიტიკური თანამდებობის დაკავება იმ ადამიანების, ვინც სასამართლოს მიერ დამნაშავედ არიან ან იქნებიან ცნობილი წამების დანაშაულებისათვის - ეს არის წამება, წამების მუქარა, ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი იქნება ჩვენგან", - განაცხადა ეკა ბესელიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, 2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საკითხზე მომზადებული დადგენილების პროექტი განიხილეს, რომელიც დეპუტატებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ გააცნო. ბესელიამ კოლეგებს კომიტეტის ფარგლებში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის ანგარიშიც წარუდგინა.

# ბუდაპეშტში ქართული ქვევრის ღვინის პრეზენტაცია გაიმართა

ბუდაპეშტში ქართული ქვევრის ღვინის პრეზენტაცია გაიმართა. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრში აცხადებენ, ღონისძიება უნგრეთში საქართველოს საელჩოს, ბუდაპეშტში მოქმედი წმინდა გიორგის სახელობის ღვინის ორდენისა და სასტუმრო „შტ. ჩეორგე ᗺოტელ"-ის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა.

პრეზენტაცია უნგრეთში საქართველოს ელჩმა ზაზა კანდელაკმა და წმინდა გიორგის სახელობის ღვინის ორდენის მაგისტრმა დიორდი ბისტრაიმ გახსნეს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, მათ ქართული ღვინის ისტორიასა და ქვევრის ღვინის დაყენების უნიკალურ მეთოდზე ისაუბრეს, რომელსაც მინიჭებული აქვს იუნესკოს (უNESᗺᗺ) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქართული ტრადიციული ქვევრის ღვინის მწარმოებელი კომპანიები „შჰალაური ჩელლარს," "შტორი ჭინეს," "ᗺრგო ჭინეს," რომლებმაც წარმოადგინეს ქვევრის ღვინის ნიმუშები და ისაუბრეს ქართული ვაზის ჯიშების მრავალსახეობაზე.

პრეზენტაციის ფარგლებში მოეწყო ცნობილი ქართველი რეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტური ფილმის „საქართველო - ღვინის აკვანი" ჩვენება, რომელსაც ასევე დაესწრო ფილმის ავტორი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ უნგრეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის, ბუდაპეშტის სენტ იშტვანის სახელობის უნივერსიტეტის მეღვინეობის კათედრისა და უნგრეთის გასტრონომიული კავშირის წარმომადგენლები, უნგრული ღვინის მწარმოებელი და სადისტრიბუციო კომპანიების ხელმძღვანელები, უნგრეთში აკრედიტებული ელჩები.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ სტუმრებმა ქვევრის ღვინო და ქართული კერძები დააგემოვნეს, რომლებიც მომზადდა ბუდაპეშტში მოქმედ ქართული რესტორნის „არაგვის" მიერ.

# აგვისტოს ბოლოს ნახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყება

საქართველოში აგვისტოს ბოლოს ნახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყება, - ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ მთავრობის ადმინისტრაციაში განაცხადა, სადაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

როგორც კალაძემ აღნიშნა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ჩინეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობები გაღრმავდეს.

„არსებობს უზარმაზარი შესაძლებლობები. დღეს ხელი მოეწერა რამდენიმე მემორანდუმს. ჩვენ ვიღებთ გრანტს და ორ რეგიონში შესაძლებელი იქნება ორი თანამედროვე, ახალი საავადმყოფოს გაკეთება, რომელიც იქნება ევროპული სტანდარტების. რაც შეეხება ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას, ძალიან მნიშვნელოვანია ჩინური ინვესტიციები, დიდია ინტერესი როგორც ენერგეტიკის მიმართულებით, ასევე სხვადასხვა მიმართულებებით", - განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება კონკრეტულ პროექტებს, კახა კალაძის თქმით, გაფორმდა ხელშეკრულება, რაც ითვალსწინებს ნახშირის თბოელექტროსადგურის პროექტს, რომლის განხორციელებაც აგვისტოს ბოლოს უნდა დაიწყოს.

„ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკისთვის. რადგან ჩვენ გვექნება შესაძლებლობა ადგილობრივი რესურსით, ანუ ნახშირით, რომელიც საქართველოში მოიპოვება, შესაძლებელი იქნება ელექტროენერგიის გამომუშავება, ანუ ჩვენ გვეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ ბუნებრივი აირი დავზოგოთ", - განაცხადა კალაძემ.

# შეხვედრა ამომრჩეველთა სიის ფორმირებასთან დაკავშირებით

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა პირებმა ამომრჩეველთა სიის ფორმირებასთან დაკავშირებით ცესკოში სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრას იმ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები დაესწრნენ, რომლებიც ამომრჩეველთა სიის ფორმირების მიზნით, ცესკოს საარჩევნო უფლების და ამავე უფლების არმქონე პირების შესახებ მონაცემებს პერიოდულად აწვდიან. უწყებებს შორის ამ სახის კოორდინაცია, ინფორმაციის დროული გაცვლა, გადამოწმება და ამომრჩეველთა მონაცემების თაობაზე პერიოდული მსჯელობები, მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ურთიერთთანამშრომლობის კარგი პრაქტიკის დანერგვას და შედეგად, სრულყოფილი ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის.

„პარლამენტის არჩევნები უკვე დანიშნულია და მიმაჩნია, რომ ასეთი შეხვედრა და თანამშრომლობა იქნება ძალიან ეფექტური იმისათვის, რომ ყველა საკითხი, არსებული ხარვეზი კოორდინირებულად განვიხილოთ უწყებების წარმომადგენლებთან ერთად. შეხვედრაზე ვისაუბრეთ ძირითადად კანონმდებლობით გაწერილი ვადებისა და მონაცემების მოწოდების ვალდებულებებზე, ასევე იმ საკანონმდებლო სიახლეებზე, რომლებიც საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ ამ უწყებებს შეეხებათ. გარდა ამისა, ვისაუბრეთ კოორდინაციის ეფექტურ მექანიზმებზე - რომელ ვადებში და რა სახით მოხდება მონაცემების გაცვლა - დამუშავება, რომ ამომრჩეველთა სია იყოს მაქსიმალურად დახვეწილი 2016 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის", - განაცხადა თამარ ჟვანიამ შეხვედრის ბოლოს ჟურნალისტებთან საუბრისას.

მედიისთვის დღეს კომენტარი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა სამხარაძემაც გააკეთა. მისი თქმით, სააგენტოში საარჩევნო სიის სრულყოფის მიზნით მიმდინარეობს პროექტი, რომელიც არაერთ აქტივობას ითვალისწინებს, - „ჩვენ ვანვდით ცესკოს პოტენციურ ამომრჩეველთა მონაცემებს წელიწადში ოთხჯერ, ასევე არჩევნებისთვის. რაც შეეხება პროექტს, რომელიც საარჩევნო სიის სრულყოფის მიზნით მიმდინარეობს, ძალიან ბევრ აქტივობას ისახავს მიზნად, მათ შორის გაორებების აღმოფხვრას, გარდაცვლილების იდენტიფიცირებას და შესაბამისი აქტების შედგენას", - განაცხადა მამუკა სამხარაძემ.

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, ცენტრალური საარჩევნო კომისია პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებასა და კომპიუტერულ დამუშავებაზე. ამასთან, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები საარჩევნო ადმინისტრაციას წელიწადში 4-ჯერ გადასცემენ საარჩევნო უფლების და ამავე უფლების არმქონე პირების შესახებ მონაცემებს.

ცესკოს ინიციატივით ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრას იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაზვერვის სამსახურის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ.

# კახა კალაძე – საქართველოს მოქალაქეები ევროპაში უვიზოდ გადაადგილებას შევძლებთ

ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე დარწმუნებულია, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესს "ვერანაირი გარე ძალა ვერ შეაჩერებს".

მისივე თქმით, საქართველოს მოქალაქეები ევროპაში უვიზოდ გადაადგილებას უახლოეს მომავალში შეძლებენ.

"ჩვენ ვიცით, რომ გერმანია წინააღმდეგია, თუმცა საქართველომ აბსოლუტურად ყველა წინაპირობა შეასრულა, რაც იყო. ყველა რეფორმა იქნა განხორციელებული. დარწმუნებული ვარ, ამ პროცესს ვერანაირი გარე ძალა ვერ შეაჩერებს. ჩვენ უახლოეს მოამავალში შევძლებთ იმას, რომ საქართველოს მოქალაქეებმა უვიზოდ გადაადგილება შევძლოთ ევროპაში. მეტიც უახლოეს მომავალში შევძლებთ იმას, რომ საქართველო გახდეს იმ დიდი ოჯახის წევრი, რასაც ევროპა ჰქვია", - განაცხადა კალაძემ.

# „საქართველო კრიმინალური ქვეყანა არ არის" — გერმანიაში მცხოვრები ქართველი სტუდენტების ღია წერილი

გერმანიაში მცხოვრებმა ქართველმა სტუდენტებმა საქართველოდან ადგილობრივ მედიას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პოლიტიკურ პარტიებს ღია წერილით მიმართეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის საავიზო რეჟიმის ამოქმედების შესაძლო გადადებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც გერმანულ პრესაში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა.

როგორც ნეტგაზეთს გერმანიაში მცხოვრებმა სტუდენტმა მიხეილ სარჯველაძემ განუცხადა, ისინი ცდილობენ რეაგირებას იმ ინფორმაციაზე, რომელიც რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნდა. ამ ცნობების მიხედვით, გერმანიის შესაბამისი უწყებები ამ ეტაპზე თავს იკავებენ საქართველოსთან საავიზო რეჟიმის გაუქმების მხარდაჭერაზე „ქართველი კრიმინალების" რაოდენობის ზრდის საფრთხის გამო:

„ეს ხდება მაშინ, როცა საქართველომ ყველა კრიტერიუმი შეასრულა იმ სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც 2012 წლის ივნისიდან ძირითად დიალოგს წარმოადგენდა ევროკავშირს და საქართველოს შორის. გერმანია კი ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოა და იმპლემენტაციამდე მცირე ხნით ადრე საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაბლოკვაზე საუბარი იმის გამო, რომ ქართული კრიმინალის დონე გაიზარდა, ევროპაში საკითხის ინსტრუმენტალიზებად მიგვაჩნია. გარდა ამისა, თავად გერმანული მონაცემებით, ვგულისხმობთ ფედერალურ კრიმინალურ სამსახურს, ქართველების მიერ ჩადენილი კრიმინალი არ არის იმ განზომილების, რომ ეს ქვეყნისთვის რეალურად დამაბრკოლებელი მიზეზი გახდეს ვიზალიბერალიზაციის პროცესში. ვთვლით რა, რომ საქართველოს მომავალი არის ევროპაში და გვსურს კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა ევროკავშირთან, რომელმაც დაიწყო აღმოსავლეთ პარტიორობის პროგრამა, თავად ევროკავშირის ღირებულებების ღალატად მიგვაჩნია საქართველოს დაბლოკვის მცდელობა, რომელსაც ადგილი აქვს გერმანულ პრესაში", — ამბობს სარჯველაძე ნეტგაზეთთან საუბარში.

მისი თქმით, წერილი რამდენიმე გერმანულ გამოცემას გაუგზავნეს, მათ შორის შპიგელს, დი ველტს და ბილდს. წერილი გამოაქვეყნა Huffington post-ის გერმანულმა გამოცემამ.

# სააპელაციო სასამართლომ „რუსთავი 2"-ის საქმეზე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა

სააპელაციო სასამართლომ "რუსთავი 2"-ის საქმეზე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. სამაუწყებლო კომპანიის ადვოკატები საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თამაზ ურთმელიძის მიერ 2015 წლის 3 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნებას ითხოვდნენ, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ადვოკატებმა ასევე დააყენეს მოსამართლე შორენა ყაველაშვილის აცილების შუამდგომლობა, თუმცა მოსამართლეთა კოლეგიას ეს შუამდგომლობა არ განუხილავს და მხოლოდ განაჩენი გამოაცხადა.

ადვოკატები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას უზენაეს სასამართლოში აპირებენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამაზ ურთმელიძის 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ქიბარ ხალვაშს ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის წილების 60 პროცენტი, მის კომპანია "პანორამას" კი 40 პროცენტი მიეკუთვნა.

# 13 ივნისი– ერთი უთვალავმზეებიანი ქალაქის ისტორია

ახლა, როცა ივნისის ერთი ჩვეულებრივი დღეა და მეც თბილისის ქუჩებს ძალიან ჩვეულებრივად მოვუყვები, ძნელი წარმოსადგენია ის საშინელი დღე, როდესაც ეს ქუჩები წყლითა და ტალახით იყო სავსე. მიჭირს 2015 წლის 13 ივნისის არსებობის დაჯერება. მაშინაც თავისებურად, მაგრამ ახლა განსაკუთრებით მტკივა ყველაფერი- დღეს ხომ ეს ქალაქი უკვე საოცრად ჩემი გახდა, დღეს თბილისი ჩემი დედაქალაქია!

2015 წლის 13 ივნისი ჩემთვის უცნაური თარიღია. უცნაური იმიტომ, რომ არ არსებობს დღე, რომელიც ერთიანად ასეთი ტკივილითა და სიხარულითაა სავსე. 13 ივნისი ჩვენი თარიღია. დღე, როდესაც კიდევ ერთხელ დავუმტკიცეთ ერთმანეთს, რომ შეგვიძლია... ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთი „ტკივილამდე“ გვიყვარდეს და ,,ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე” ერთმანეთით ვიყოთ ბედნიერნი.

13 ივნისს ჩვენ, ქართველებმა, ერთმანეთს დიდი სიკეთის მზეები ვაჩუქეთ. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ჩემი თანატოლების თაოსნობითა და ინიციატივით დაირაზმა მთელი საქართველო. ამასწინათ, გავიგონე, როგორ უწოდებდნენ ჩვენს თაობას ქვეყნის მხსნელ ძალას, მაგრამ პასუხად საოცრად გულდასაწყვეტი სიტყვები მოვისმინე: განა ყველა მომდევნო თაობაზე ასე არ ვამბობთო?!

ქვეყნის ცხოვრებაში თითოეულ თაობას თავისი მისია აქვს შესასრულებელი. ჩვენი მისია არცერთ წინამორბედზე მარტივი არაა, პირიქით- ურთულესია! ჩემი თაობის მისია მიძინებული სიყვარულის მზეების აფეთქებაა. 13 ივნისის ავდრის ამოსაშრობად, ეტყობა, ერთიორი მზე არ კმაროდა და ამიტომ მთელი საქართველოს გულებმა იფეთქა და წამში მოაკრიალა ატალახებული ქალაქი.

2015 წლის 13 ივნისს, თბილისს, საქართველოს დედაქალაქს, შიშველი ხელებით წმენდდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ბავშვი და მოხუცი, ფეხმძიმე და ავადმყოფი, თეთრკანიანი და შავკანიანი. კაცთმოყვარეობამ გადაფარა ყოველგვარი წყენა, შულღი, ეჭვი, ტყუილი. როგორც იქნა, დიდი მსხვერპლის ფასად, უანგარო სიყვარულმა იზეიმა ამ სიხარულმიმქრალ ქვეყანაში.



მოვლენების ეპიცენტრად თითქოს სიმბოლურად მზიური, ბავშვთა ქალაქი, იქცა. ჩვენც ხომ პატარა ბავშვებივით დავივიწყეთ ეგოიზმი, უარი ვუთხარით სიძულვილს და ერთმანეთს ხელები ძალიან, ძალიან მაგრად ჩავჭიდეთ...

„ტალახში ჩაფლულები ვფუსფუსებთ და გვიხარია, ნამდვილი ტალახი რომ გვახმება სახეებზე და არა ის არაადამიანური სიბინძურე, გულგრილობა რომ ჰქვია და დიდი ხანია გვჭირს მთელ ერს! როგორ უნდა მივატოვო ყველაფერი... ჩემი თვალით ვნახე, კაფანდარა გოგო ჟანგბადის ბალონით იყო მოსული და ჩვენზე არანაკლებ შრომობდა. ვილაცამ ოჯახის წევრები გაატანა მდინარე ვერეს, მაგრამ დღემდე ჩვენს გვერდითაა. ვილაც დაიღალა, მაგრამ მაინც ებრძვის სტიქიას. ვილაცას შია, მაგრამ არ იმჩნევს. ამის შემდეგ მართლა მჯერა, რომ ,,დედამიწას სიყვარული ატრიალებს”. თუ ვინმეს ამაში ეჭვი გეპარებათ, აქ მოდით, მზიურში. აქ მივხვდით თითოეული მოხალისე, რომ თურმე ყველას გვქონია ჩვენი ქალაქი, ოღონდ აქამდე არ ვიცოდით. ახლა მივხვდით და არ ვამხელთ. უსიტყვოდ, ოფლით, სისხლით, თანადგომით, გადაღლილი მზერით და უგულწრფელესი ღიმილით გამოვხატავთ. ყველა ვაშენებთ ჩვენს წილ საქართველოს გულებში. ლაფში ამოსვრილი მზიურის გაწმენდა თუ შიშველი ხელებით მოვახერხეთ, გაუტანლობაში ამოსვრილი ქვეყნის გაწმენდასაც შევძლებთ!”



არ შეიძლება ამის დავიწყება! 2015 წლის 13 ივნისი ჩვენი თაობის დაბადების დღეა! თაობის, რომელიც არასოდეს დაივიწყებს ამ დღეს გარდაცვლილთა სახელებს: ნინოს, ჟანას, სვეტლანას, ლიანას, ნუგზარს, მარიამს, ივლიტას, გულიკოს, გივის, გურამს, ინდირას, ლიზას... სახელებს, რომლებიც გაცოფებულმა მდინარემ ერთი ამოსუნთქვით წაგვგლიჯა, მაგრამ ქვეყნის ხსოვნაში დატოვა სამუდამოდ- მისი გამოღვიძებისა და ხელახლა დაბადების სიმბოლოდ.

ჩვენ ის თაობა ვართ, ჩვენი თავი რომ ვიპოვეთ და თქვენც მოგეცით ამის საშუალება. ჩვენ სიყვარულის თაობა ვართ, რომლის მზეც 2015 წლის 13 ივნისს მზიურში ამობრწყინდა. ჰოდა, ნუ დაგვივიწყებთ- თქვენ თავებს ნუ დაივიწებთ!..

,,და მერე, ჩემთვის მოულოდნელად, სულში გამეფურჩქნა უცნაური, სიყვარულის მცენარე - აბა, თუ მიხვდებით, რომელი?

- ყაყაჩო!
- არა, ჩქარა ჭკნება!
- ენძელა!
- ნაზია ძალზე...
- გეორგინი!
- გაფოფრილია...
- ვარდი?
- შაბლონურია...
- აბა რა?

- და უცებ სულში გამეფურჩქნა უცნაური მცენარე, სიყვარულის კაქტუსი - ეკლებიანი, ოღონდ საოცრად ტკბილი იყო მისი ყოველი ჩხვლეტა, და აი ახლაც, თქვენ რომ გიყურებთ, ახლაც მჩხვლეტს და რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ!

იმ ძნელ ხეს სულში ამოყვანა უნდა, ადამიანებო, თქვენს კლდოვან სულში...”

სოფიო მენთეშაშვილი

# პოლიტიკური ეთიკა

8 ივნისს საარჩევნო პერიოდმა სტარტი ოფიციალურად აიღო. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარი პლატფორმა და კანდიდატები უნდა წარუდგინონ საზოგადოებას. რამდენად ეთიკური იქნება ეს პროცესი საქართველოში?-ეს ის კითხვაა, რომელიც რამდენიმე წელია ისმის საზოგადოებაში. ურთიერთბრალდებების სერია უკვე დაიწყო- ოპოზიციური პარტიები უფასო საეთერო დროის გამოყოფის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ და ხელისუფლებას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებენ, მმართველ პარტიაში კი აცხადებენ, რომ ოპოზიციის ბრალდება უსაფუძვლოა და კანონის აღსრულების უზენაესობაზე საუბრობენ... ეს მხოლოდ დასაწყისია, კულტურული დასაწყისი... „ბრძოლა წესების გარეშე „ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქართულ პოლიტიკაში, ამიტომ ელექტორატი უკვე მიეჩვია იმას, რომ საარჩევნო ბატალიები სატელევიზიო ეთერიდან და მედიასაშუალებების ფურცლებიდან ხშირად ქუჩაში გადადის. მოსახლეობაც იზიარებს აზრს, რომ „პოლიტიკა ბინძური თამაშია“ და ამიტომ აქ ყველაფერი „მოსულა“- ამომრჩევლის მოსყიდვიდან დაწყებული კომპრომატების ომით დამთავრებული...

ამომრჩეველი მიეჩვია პოლიტიკური ბრძოლის ამგვარ მეთოდებს და ერთგვარი ინტერესითაც კი ელის წინასაარჩევნო მარათონის დაწყებას, სადაც ოპონენტები ერთმანეთის კომპრომენტირებას ყველანაირი ფორმით ახერხებენ. იცვლება დრო, ტექნოლოგიების მიღწევები თვალთვალისა და მოსმენის მეტ საშუალებას იძლევა. უკანონო ფარულ მოსმენებს თავის დროზე ამერიკაში პრეზიდენტი ნიქსონი გადაჰყვა, ჩვენთან კი მსგავსი ქმედებისთვის არავინ დასჯილა, თუ არ ჩავთვლით „ქართული ოცნების“ პოლიტიკაში მოსვლის შემდგომ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნისხვედელიძის დასჯას. ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერები თუ აუდიოფაილები აღარ გავრცელებულიყო. არაეთიკური მეთოდებით ბრძოლა კი პოლიტიკაში ჯანსაღ კონკურენციას თავისთავად გამორიცხავს. მაგრამ რას ვიზამთ, დღეისათვის ჩვენთან ამგვარი პოლიტიკური ეთიკა ჩამოყალიბდა. მაკიაველური ფილოსოფიის მიმდევრები თუ „რუხი კარდინალები“ არ ილევა ქართულ პოლიტიკურ დაფაზე. იცვლება და იხვეწება მხოლოდ მეთოდოლოგია. „მიზანი ამართლებს საშუალებას“-ეს ცნობილი ფრაზა, რომელიც მაკიაველს ეკუთვნის, ბევრი პოლიტიკოსის ამოსავალი წერტილი და მოქმედების განმსაზღვრელია...

ათეული წლებია, რევოლუციური გადატრიალებისა თუ სხვა სახის პოლიტიკური მოვლენების მომსწრეა ქართული საზოგადოება. ამიტომ ყველა ერთგვარი შიშით უყურებს არჩევნებს- ვინმე არ წამოეგოს პროვოკაციებს და სიმშვიდე არ დაირღვეს. არავისთვის, განსაკუთრებით კი ქვეყნის იმიჯისთვის არაა მომგებიანი ინციდენტების სერია წინასაარჩევნო პერიოდსა თუ არჩევნების დღეს. ის, რომ ასეთი შემთხვევების გამორიცხვა არ შეიძლება, კორცხელში მომხდარი ფაქტიც მეტყველებს. და არა მარტო ის, მსგავსი პრეცედენტები არცთუ მცირეა ჩვენს უახლოეს წარსულში... დღევანდელ პოლიტიკაში რომ ეთიკური კატეგორიების აშკარა დეფიციტია, ამაზე არავინ დაობს... თუმცა, ეს არ ახალია, ძველია. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეთიკის ფუძემდებელი არისტოტელე მსჯელობდა პოლიტიკური ეთიკის შესახებ და მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს სათავეში მხოლოდ ზნეობრივად სპეტაკი და ინტელექტუალურად ძლიერი ადამიანები უნდა იყვნენ, ასევე ის ვერავითარ გამართლებას ვერ უძებნიდა იარაღითა და ძალადობის სხვა საშუალებებით ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. ხოლო კანტმა ტრაქტატში“ მუდმივი მშვიდობისათვის“ დასვა საკითხი პოლიტიკისა და მორალის გაერთიანების შესახებ. პოლიტიკურ მორალისტს ის უპირისპირებს მორალურ პოლიტიკოსს, რომელიც ცდილობს, პოლიტიკაში ხელმძღვანელობდეს მორალური პრინციპებით.

პოლიტიკას, ისევე როგორც სახელმწიფოს, ადამიანები ქმნიან. ჩვენ ყველა ერთად ვაწესებთ იმ დაუწერელ კანონებს, რომელსაც სამართალი ვერ აწესრიგებს. ამას ჩვენი ადამიანური ბუნება, ემოციური ფონი და სხვა უამრავი ფაქტორი განაპირობებს. ახლაც ადამიანებზე, თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული, როგორ პოლიტიკურ ეთიკას დავამკვიდრებთ საზოგადოებაში- გავყვებით უკვე ნაჩვევ და გაკვალულ გზას, რომელიც სავსეა ხმამაღალი განცხადებებით, ტყუილი დაპირებებით და სხვა უზნეო მეთოდებით, თუ უარს ვეტყვით დამკვიდრებულ აზრს, რომელიც ცნობილმა პოლიტიკოსმა დაგვიტოვა: „იმდენს არსად იტყუებიან, როგორც არჩევნების წინ“... არჩევნების შემდეგ კი აღარ ვიწუწუნებთ იმაზე, რომ ჩვენმა რჩეულმა იმედები გაგვიცრუა.

ინგა შიოლაშვილი

# სკოლა და სიახლეები

9 ივნისს ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის რუსუდან გონაშვილის მიერ გამართულ პრეზენტაციას დავესწარით. ადგილზე იმყოფებოდნენ არამხოლოდ ამ სკოლის, არამედ სხვადასხვა სოფლის სკოლებიდან მოწვეული სხვადასხვა საგნის პედაგოგები: ქიმიის, ფიზიკის, უცხოენების და ა.შ.

უკვე თითქმის ოცი წელია, რუსუდანი ამ სკოლას ემსახურება და მისი ღვაწლი გამორჩეულია ახალი ტექნოლოგიებისა თუ ნებისმიერი სხვა ინოვაციების დანერგვით სკოლაში, იგი ორიენტირებულია პედაგოგთა მოტივაციის ამაღლებაზე, მათ ჩართვაზე ყოველ ახალ საკვალიფიკაციო პროგრამებში და ზოგადად, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის წარმოჩენაზე, მოსწავლეთა განვითარებაზე არამხოლოდ ქართული ენა-ლიტერატურის, როგორც სასწავლო დისციპლინის ფარგლებში, არამედ მოსწავლეთა ტექნოლოგიური უნარების განვითარებასა და მისი სასწავლო მიზნებით გამოყენებაში.

ამ პრეზენტაცის მიზანი იყო მასწავლებლებისთვის მაიქროსოფტის საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სასწავლო მიზნით გამოყენებაზე საუბარი. ქალბატონმა რუსუდანმა ისაუბრა საგანმანათლებლო ტექნოლოგიებზე, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება და გამდიდრება. მოწვეულ პედაგოგებს გააცნო Microsoft Imagine Academy, რომლის წევრებიც გახდნენ მას შემდეგ, რაც გაიმარჯვეს მსოფლიო მასშტაბით გამოცხადებულ მიქსატონის კონკურსში და მოიპოვეს ამ აკადემიის წევრობის ერთწლიანი ლიცენზია- მსოფლიოს 30 ქვეყანას შორის. მასთან ერთად ამ პროგრამაში ამჟამად ჩართულნი არიან ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ქართულისა და ინგლისური ენის პედაგოგებილელა ჯავაშვილი და ქეთი ტაველურაშვილი, რომლებმაც სწავლების პირველი საფეხური წარმატებით გაიარეს და სათანადო სერთიფიკატებიც მიიღეს.

აკადემიის წევრებს საშუალება ეძლევათ, გაიარონ ტექნოლოგიებით სწავლების სრული კურსი და გაეცნონ სწავლების საშუალებებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს მიზნის მიღწევაში. აკადემია წევრებს ტექნოლოგიური უნარების განვითარებასთან ერთად სთავაზობს ტექნიკური უნარების დასაუფლებელ კურსებსაც, რომლებიც მათ რეალურ ცხოვრებაში გამოადგებათ, თუ საკუთარ საქმიანობას ტექნოლოგიებს დაუკავშირებენ. აქ ნებისმიერ მსურველ პედაგოგს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა და ჩაერთოს ამ პროგრამაში. შეხვედრაზე ქ-ნმა რუსუდანმა ხაზი გაუსვა, რომ ყოველი სკოლის მოსწავლეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ისწავლოს პროგრამირება და ამისათვის თითოეულმა პედაგოგმა ძალ-ღონე არ უნდა დაზოგოს, რათა ჩვენ მივიღოთ განათლებული, თანამედროვე ტექნოლოგიური ცოდნით აღჭურვილი თაობები.

- მე ვვითრდები, როგორც მინდა და როცა მინდა, თქვენც მოგიწოდებთ, რომ ნუ იქნებით მხოლოდ კრედიტებზე ორიენტირებულნი, ჩაერთეთ ამ სიახლეებში და ცოტა ხანში აღმოაჩენთ, რა მარტივი, სახალისო და მოსწავლეებისთვის საინტერესოა ასე სწავლება, როგორ თვალსა და ხელს შუა აგიმაღლდებათ მოტივაცია...

შემდეგ მან პედაგოგებს თანმიმდევრულად გააცნო აკადემიის სასწავლო

კურსის პროგრამა:

1.Microsoft Official Academic Course (MOAC)-ეს სერია სპეციალურად შექმნილია აკადემიური სწავლების სფეროსთვის და სწავლა-სწავლების საფუძვლებს შეიცავს.

2.Microsoft Online Learning curriculum - ხელმისაწვდომს ხდის 400-ზე მეტ ონლაინ სასწავლო კურსს.

3.lesson plans-გამოსაყენებლად გამზადებული სასწავლო გეგმები, შესაძლებელია მათი მოდიფიცირებაც.

4.Digital Literacy curriculum - კომპიუტერული უნარების ჩამოსაყალიბებელი სასწავლო გეგმები.

5.Microsoft Official Courseware (MOC) – IT სპეციალისტებისათვის შემუშავებული აკადემიური სასწავლო გეგმა-შეფასებები.

6.Teaching with Technology Curriculum - ინტერაქტიული სწავლება, რომელიც ეხმარება პედაგოგს, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სწავლება დანერგოს პრაკტიკულ საქმიანობაში.

ასევე აქვს კურსები მოსწავლეებისათვის:

1.Microsoft Office Specialist (MOS)

2.Microsoft Technology Associate (MTA) სხვადასხვა ტექნიკური სპეციალობების საწყისი უნარების ცოდნის დამადასტურებელი გამოცდა.

Microsoft Certifications Solutions Associate/Expert (MCSA/MCSE) ეს გამოცდა ამოწმებს, მოსწავლეს რამდენად კარგად აქვს განვითარებული პროექტირებისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების უნარები.

ამ კომპეტენციების გამომუშავება და გაღრმავება აუცილებელია, რადგან ტექნოლოგია ყველგანაა, შესაბამისი ბიზნეს-პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნოლოგიების ცოდნა აუცილებელია ყოველდღიურ ცხოვრებაში, იქნება ეს კომპიუტერთან მუშაობის ძირითადი უნარ-ჩვევები თუ მოწინავე ტექნიკური უნარები. თითქმის ყველა სამუშაო ადგილი მოითხოვს გარკვეული ფორმით ტექნოლოგიური უნარების ცოდნას.

პრეზენტაციაზე საუბარი შეეხო სასწავლო რესურსის დანიშნულებას. როგორი უნდა იყოს სასწავლო რესურსი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებელი, რომელიც მეთოდურად კარგად დაგეგმილი გაკვეთილითა და დამუშავებული სასწავლო მასალით მოსწავლეებს შესასწავლი საკითხების გააზრებაში ეხმარება. სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მასწავლებელს სჭირდება, გასცდეს სახელმძღვანელოს ჩარჩოებს და სწორედ აქ ეხმარება მაიქროსოფტის საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ბრწყინვალე რესურსების შექმნა. პედაგოგები გაეცნენ Microsoft Office Mix-ი და მასში რუსუდანის მიერ მომზადებულ რესურსებს. ასევე მოსწავლეების ნამუშევრებს Minecraft-ში.

პრეზენტაციის დასასრულს პედაგოგებმა ლელა ჯავაშვილმა და ქეთი ტაველურაშვილმა მადლობა გადაუხადეს რუსუდან გონაშვილს მათი ამ პროექტში მონაწილეობისა და სერთიფიკატების მიღებისათვის.

- რომ არა რუსუდანი, ჩვენ ამ პროექტში ვერ მივიღებდით მონაწილეობას, თავიდან ცოტა სკეპტიკურადაც ვიყავით განწყობილნი, ცოტა უფრო რთულად წარმოგვედგინა აქ გამარჯვება და მითუმეტეს, მაინკრაფტის სერთიფიკატის მიღება, მაგრამ ახლა უკვე იმდენად მოტივირებულნი ვართ, გვინდა, სწრაფად გადავლახოთ შემდეგი საფეხურები, (კოდეს 1 საათი) ასე ჰქვია თითოეულ სწავლების საფეხურს, ეს შრომას და დროს მოითხოვს, მაგრამ სურვილი იმდენად დიდია, რომ აუცილებლად გადავლახავთ შემდგომ საფეხურებსაც, -გვიამბობს ლელა და ჩვენ წარმატებებს ვუსურვებთ მათ.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან საუკეთესო პრიზებით, უახლესი კომპიუტერებით.

შეხვედრის მიმდინარეობისას ქალბატონმა რუსუდანმა მონიტორთან მოიწვია არხილოსკალოს სკოლის ქიმიის პედაგოგი და შესაძლებლობების ფარგლებში იქვე ამუშავა საპრეზენტაციო პროგრამაზე. ქალბატონი ნათელა აღფრთოვანდა სიახლით და აღარ ეთმობოდა სამუშაო ატმოსფერო.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ რუსუდან გონაშვილს ამ პროგრამის განხორციელებაში და ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეების მხრიდან მისი შრომის შესაბამისი შედეგებით დაფასებაში.

ელზა ხარაშვილი

# ცოდნა სიმდიდრეა

ამ დღეებში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მიმდინარე სასწავლო წლის ბოლო ინტელექტუალური კონკურსი „ცოდნა სიმდიდრეა“ ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდი „ნიკე“, №2 საჯარო სკოლის გუნდი“თამარიანი“, ხორნაბუჯის – „ხორნაბუჯი“, სამრეკლოს – „ფავორიტები“ და წმ. მეფე ვახტანგ გორგასალის სკოლის გუნდი“ გორგასალი“.

კონკურსი ჩატარდა სამ ტურად, მისი წამყვანი და ორგანიზატორი გახლდათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური წრის პედაგოგი თამარ აბულაძე. კონკურსის მიმდინარეობისას განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა სამრეკლოს საჯარო სკოლის გუნდი“ფავორიტები“, რომელიც პირველი ადგილის მფლობელი გახდა, მეორე ადგილზე გავიდა „გორგასალი“, ხოლო მესამე ადგილი-N1 საჯარო სკოლის გუნდ „ნიკეს“ ხვდა წილად.

კონკურსი მეხუთე-მეექვსე კლასის მოსწავლეებს შორის მიმდინარეობდა, ქულების დათვლის პროცესში მოსწავლეები მხატვრულ კითხვაში ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. სახალისო და მოსწავლეებისათვის შემეცნებითი ღონისძიების დასასრულს თითოეულ მონაწილე ბავშვს სიგელებთან ერთად ფარმაცევტული კომპანია“პრეზიდენტისგან“ პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური საშუალებები გადაეცათ საჩუქრად.

ელზა ხარაშვილი

# „პრეზიდენტის“ საჩუქარი ბავშვებს

ფარმაცევტული კომპანია „პრეზიდენტის“ წარმომადგენლობა საქართველოში შპს „ოდრი“ დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარებულ უკვე ორი კონკურსის მონაწილე 50-მდე პატარა ინტელექტუალს ასაჩუქრებს პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური საშუალებებით.

ასეთი საჩუქარი ყველასათვის მოულოდნელი, სასიხარულო და სიურპრიზი იყო. პატარების თვალებში ჩამდგარმა სიხარულის სხივმა და მადლობამ ყველა დამსწრეს გული გაუთბო.

დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მადლობას უხდის ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს, სტომატოლოგიური კლინიკის „ალბიუსის“ მენეჯერს, საქართველოს სტომატოლოგიური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს ზურაბ ალხანიშვილს, რომელმაც შუამავლობა გაუწია კომპანიის წარმომადგენლებთან და ასე გაახარეს პატარა ინტელექტუალები.

დიდი მადლობა კომპანია „პრეზიდენტის“ წარმომადგენელს ქალბატონ ეკა ქაჯაიას წამახალისებელი საჩუქრებისათვის მოსწავლეების, მათი მასწავლებლების, მშობლებისა და დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სახელით. ვუსურვებთ წარმატებებს მათ საქმიანობაში. ეს თანადგომა და გულისხმიერება დიდი სტიმულია ჩვენი მოსწავლეებისათვის და ჩვენთვისაც ჩვენს საქმიანობაში.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა კომპანია „პრეზიდენტს“.

თამარ აბულაძე,
**მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელი**

# ნაკვეთების გადაწვის აკრძალვა – მოსახლეობის არჩევანი

**გაზეთი „შირაქი“ უკვე წერდა, რომ იანვარში გერმანულმა მხარემ გასული წლის ზაფხულში დედოფლისწყაროში ხანძრების შემთხვევების კვლევის შედეგი წარმოადგინა, სადაც კატასტროფული მაჩვენებლები დაფიქსირდა. შეხვედრაზე გაჟღერდა, რომ საქართველომ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების გადაწვის პრაქტიკა სასწრაფოდ უნდა აკრძალოს და ამაზე მუშაობა დაიწყებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისედაც დეგრადირებული ლანდშაფტი დედოფლისწყაროში კიდევ უფრო განადგურდებოდა. ამ შეხვედრას გაგრძელება მოჰყვა, რამდენიმე დღის წინ კვლავ ილიაუნის დედოფლისწყაროს კვლევითი ცენტრის დარბაზში ყველა მხარის მონაწილეობით კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ: გარემოს დაცვის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ექსპერტები, კავკასიის გარემოსდაცვითი ცენტრის მკვლევარები, ადგილობრივი ფერმერები. დისკუსია საკმაოდ ხმაურიანი აღმოჩნდა, თუმცა შეხვედრის ორგანიზატორები ამბობდნენ, რომ მათი მიზანი სწორედ ადგილობრივი ფერმერების მოსმენა იყო.**

სამომავლოდ ნაკვეთების გადაწვის აკრძალვის შემდეგ, რამდენიმე სცენარი განიხილება. ერთ-ერთია, ნამჯის ნარჩენების დაქუცმაცება და ნიადაგში ჩახვნა, რომელიც ჰუმუსის ფუნქციასაც შეითავსებს და ნიადაგს ტენიანობას შეუნარჩუნებს.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი REC Caucasus-ის მიერ დედოფლისწყაროში და მის სოფლებში სპეციალური კითხვარებით 300 ფერმერის გამოკითხვა მოხდა. კვლევა ადგილზე ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. გამოიკვლიეს რა ოდენობის მინას ამუშავებს თითოეული ფერმერი დედოფლისწყაროში, რა ტექნოლოგიებს იყენებს მოსავლის ასაღებად და რა მეთოდით ახდენს ნაკვეთის დასუფთავებას. ერთ-ერთი მთავარი დეტალი კვლევის შედეგებში ისაა, რომ გამოკითხულთა 70%-ზე მეტი მხარს უჭერს გადაწვის აკრძალვას. კვლევა ინტერესდებოდა ასევე ისეთი დეტალებით, თუ რა ფინანსურ სხვაობას აძლევს ფერმერს მოსავლის საბჭოთა და ახალი ტექნიკით მკის შემთხვევაში.

გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახური ხაზს უსვამს, რომ მათთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, აკრძალვა მოხდეს გააზრებულად და მხოლოდ ჭკვიანური ალტერნატივის შეთავაზების შემდეგ. სწორედ ამიტომ, მათთის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ფერმერების ჩართულობა და აზრის მაქსიმალურად გათვალისწინება.

პროექტის ერთერთი ექსპერტი, ვანია ვესტენბერგი ამბობს, რომ ახალი მონაცემებით იმაზე რთული ვითარებაა, ვიდრე ელოდნენ.

შეხვედრაზე განსაკუთრებით აქტიურობდა ადგილობრივი ფერმერი გოგი კიკილაშვილი. ის მიიჩნევს, რომ უცხოელი ექსპერტები დროს კარგავენ იმის მტკიცებაში, რაც ჩვენ ისედაც კარგად ვიცით, ამასობაში კი დრო ჭიანურდება და ისინი არ გვთავაზობენ რეალურ გზას.

შეხვედრას ისეთი ფერმერიც ესწრებოდა, რომელიც ამბობს, რომ გასულ წლებში ნამჯის ნიადაგში ჩახვნა უკვე გამოიყენა და მის ეფექტიანობაშიც დარწმუნდა.

**დავით ნათელაძე:** „უკვე მესამე წელია, ახალი მეთოდით ვამუშავებ მინას და ვახდენ ნამჯის ჩახვნას, რამაც უკეთესი შედეგები მომცა. მთლიანად მინის სტრუქტურა გაუმჯობესდა, მოსავლიანობაც გაიზარდა. ამასთან, შემიმცირდა ხარჯები. ასე დამუშავებულ მინას შემდგომში გაცილებით ნაკლები საწვავი დასჭირდება. მართალია, აღების დროს ხარჯი მეტია, მაგრამ შემდეგ თესვის, თუ მექანიკური დამუშავების პერიოდში საგრძნობლად ნაკლები საწვავი მჭირდება და ეფექტი სახეზეა. ამიტომაც მიღირს, რომ თავიდან მეტი ხარჯი გავიღო და ამ მეთოდით დავამუშაო. ყველას ვურჩევდი ამ მეთოდების გამოყენებას. გვალვის პერიოდში ნიადაგის გამოშრობა ხდება და როდესაც ნამჯას ჩავხნავთ, ნიადაგი ჰუმუსითაა გამდიდრებული, წყალს აკავებს და ტენიანობას ინარჩუნებს. ამგვარი შეხვედრების გამართვა რაიონში მნიშვნელოვანია, რადგან მოხდება ინფორმაციის გაცვლა, მეტს გავიგებთ და წინსვლა იქნება. უნდა ვიცოდეთ ახალი ტექნოლოგიების ათვისება და სწორად მართვა“.

**ლიკა გიორგაძე (გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახური):** „შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი ფერმერებისთვის იმ კვლევის შედეგები და ძირითადი მესიჯები გაგვეცნო, რომლებიც ჩვენი უცხოელი პარტნიორების დახმარებით მომზადდა. გამოვიკვლიეთ აგრარული ნარჩენების წვის ალტერნატიული გზების გამოყენების ეკონომიკური ეფექტი. გადავწყვიტეთ, რომ კვლევის შედეგების პრეზენტაცია ჯერ დედოფლისწყაროში მოგვეხდინა, რადგან აქ გამოთქმული შენიშვნებით კიდევ მომხდარიყო მონაცემების კორექტირება და შემდეგ განგვეხილა ისინი მაღალი თანამდებობის პირებთან. საკმაოდ ინტერაქტიული და დაძაბული შეხვედრა გამოვიდა, თუმცა ბევრი შენიშვნა გამოიკვეთა, რომლებიც აუცილებლად იქნება ამ კვლევაში დამატებული. შევთანხმდით, რომ სამომავლოდ, სხვა შეხვედრების ორგანიზებაც მოხდება. საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანი შედეგები მიგვაქვს დღევანდელი შეხვედრიდან. შემდგომში ეს კვლევები უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან იქნება განხილული და მისი განხორციელების სამომავლო პერსპექტივებს დავსახავთ. მთავარი შედეგი მიღწეულია და ყველაფერი გეგმის მიხედვით ხორციელდება. მთავარი ისაა, რომ მოხდეს წვის აკრძალვა ისე, რომ ამან უარყოფითი ეფექტი არ მოგვცეს და ეფექტური რეფორმა გამოვიდეს. ცალსახად გადაწვის აკრძალვას აქამდეც შევძლებდით, მაგრამ, გვინდა, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ადგილობრივების ინტერესი და სწორედ ამიტომაა, რომ არაერთხელ ჩამოვედით დედოფლისწყაროში და პირველ რიგში მეცხვარეებს და ფერმერებს ვეკითხებით, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ“.

**ვანია ვესტენბერგი (გერმანელი ექსპერტი):** „ნაკვეთების არგადაწვა და სხვა გზების არჩევა ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების და ნიადაგის ნაყოფიერების ზრდას, დარჩენილი ქარსაცავი ზოლების შენარჩუნებას, რომელიც საქართველოში კატასტროფულად დაზიანებული და გამეჩხერებულია. ქარსაცავების დაცვა გარემოს გაჯანსაღებას და მოსავლის დაცვას მოახდენს. ეს კი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფერმერებისთვის და მინათმოქმედებისთვის, არამედ დანარჩენი მაცხოვრებლებისთვისაც. მნიშვნელოვანია, რომ ნამჯის ნარჩენების გადამუშავება მოხდეს ისე, რომ საწვავად გამოყენება შეიძლებოდეს. დღეს ადგილობრივები საწვავად შეშას იყენებენ, დედოფლისწყაროში საკმაოდ მაღალია შეშის მოხმარების მაჩვენებელი, რაც საყურადღებოა. თუ ამ ნარჩენებით შევცვლით შეშას, შევძლებთ შევამციროთ ტყეების ჩეხვა. ეს გაცილებით იაფი და ეფექტური იქნება. გამოკითხვაში ფერმერების დიდი უმრავლესობა მომხრეა ნაკვეთების გადაწვა აიკრძალოს. თუმცა, ფერმერებს გადაწვის აკრძალვაში დახმარება სჭირდებათ, რომ ეს რეალურად განხორციელდეს... გაცილებით მეტი ხარჯები ექნებათ გადაწვის ალტერნატიული გზების გამოყენების დროს, მაგრამ თუ იქნება სახელმწიფოს მხარდაჭერაც, შედეგი იქნება. ჩვენი მუშაობის მიზანიც ესაა, რომ დავითვალოთ, საბოლოო ჯამში გაზრდილი ხარჯების მიუხედავად ახალი მეთოდით ნაკვეთების დასუფთავების, ან ნარჩენების მინაში ჩახვნის შემდეგ, რამდენიმე წლის მანძილზე რამდენად მეტ სარგებელს მიიღებს ფერმერი“.

**გოგი კიკილაშვილი (ფერმერი):** „შედეგით კმაყოფილი ვარ, რომ ყველა მხარემ გაიგო დღეისათვის არსებული პრობლემები. ვნახოთ, თუ ეს აღქმა საქმეშიც გამომჟღავნდება, ამას მივესალმებით, მაგრამ თუ რეალური ქმედებები არ მოჰყვება, საუბარი საუბრად დარჩება. რაც უფრო სწრაფად გადაწყვეტს სახელმწიფო ამ საკითხში საკუთარ პოზიციას, უკეთესი იქნება. ფერმერთა პოზიცია ნათელია. ისინი მიესალმებიან აკრძალვას, თუმცა საჭიროა, როგორც პოლიტიკური ნება, ისე ინსტიტუციონალური მხარდაჭერა“.

ილია მარტყოფლიშვილი

# მოტყუებით წაყვანილი ბავშვები და მშობელთა პროტესტი

არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების განცხადებით, 5 ივნისს დილით, მათი შვილები, ახალგაზრდულ ბანაკში მონაწილეობის მოტივით შეკრიბეს და წაიყვანეს. თუმცა, დაპირებული ბანაკის ნაცვლად მოზარდები გიორგი ვაშაძის პარტიის „ახალი საქართველოს“ პრეზენტაციაზე აღმოჩნდნენ.

ერთ-ერთი მშობლის, მურად ელაშვილის განცხადებით, მან შვილისგან შეიტყო, რომ ბავშვები ბანაკში აპირებდნენ წასვლას. დილით, თანაკლასელებთან და სხვა არასრულწლოვან ბავშვებთან ერთად შეკრებილები გიორგი ვაშაძის პარტიის პრეზენტაციაზე დასასწრებად წაიყვანეს. უცნობია, ვინ იდგა ამ ფარული შეკრების უკან, თუმცა როგორც სკოლის მოსწავლეები და მშობლები აცხადებენ, ისინი ხალხის მასის გაზრდისთვის გამოიყენეს.

„ბავშვები წაიყვანეს გასაუბრებაზე და მოატყუეს, რომ ბანაკისთვის არჩევდნენ მათ. ასე მოტყუებით ჩაიყვანეს ისინი თბილისში, სადაც ბავშვები პარტიის ყრილობაზე მიიყვანეს. მოზარდებმა ეს გააპროტესტეს და მაშინვე დატოვეს ყრილობა. ჩემი შვილი არის 15 წლის არასრულწლოვანი გოგონა, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჯერ არა აქვს. მიმაჩნია, რომ წინასაარჩევნო პროცესში ბავშვების გამოყენება დაუშვებელია და ბავშვების მოტყუება, მითუმეტეს არასრულწლოვნების, არასწორია და აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებლად მოვახდენ რეაგირებას“, - აცხადებს მურად ელაშვილი.

„შირაქთან“ საუბრისას არბოშიკის საჯარო სკოლის ერთ-ერთი არასრულწლოვანი მოზარდის მშობელი ავთანდილ ბატიაშვილიც აპროტესტებს ამ ფაქტს და აღნიშნავს, რომ მისი შვილიც მოტყუებით, სხვა არასრულწლოვან ბავშვებთან ერთად გიორგი ვაშაძის პარტიის პრეზენტაციას ესწრებოდა.

„არ ვამართლებ ასეთ სიტუაციას და მიმაჩნია, რომ არასრულწლოვანი ბავშვების მონაწილეობა პოლიტიკაში არ უნდა ხდებოდეს. კვირა დღე იყო, სკოლები არ იყო და დრო იხელთეს ალბათ. მე მაგალიად ჩემს შვილს ვუთხარი, სანამ არ გავარკვევ შემდგომში, რომ ნამდვილად ექსკურსიაზე მიდის თუ ბანაკში, მანამდე წასვლის უფლებას არ მივცემ”-აცხადებს ავთანდილ ბატიაშვილი.

ჩვენი ინფორმაციით, მოსწავლეები პოლიტიკური პარტიის პრეზენტაციაზე დასასწრებად ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლიდანაც წაიყვანეს.

მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა წალკაშიც. საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებმაც იდენტურად გააპროტესტეს ბავშვების ჩართულობა პოლიტიკაში, თუმცა თავად გიორგი ვაშაძემ ეს ფაქტი უარყო და განაცხადა, რომ ეს თემა თითიდან გამოწოვილია. მაგრამ უდავოა, რომ ასეთი ფაქტი ნამდვილად მოხდა და არც ისაა ახალი ამბავი, რომ სკოლის მოსწავლეების, არასრულწლოვნების გამოყენება არაერთხელ მომხდარა პოლიტიკაში. თუმცა, ეს მოტყუებით და არასრულწლოვანი ბავშვების მშობლების ნებართვის გარეშე არ უნდა ხდებოდეს.

# სცენაზე იდგა ოთხი თაობა

ამ დღეებში ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის საკონცერტო დაბაზის სცენაზე 4 თაობა ერთად იდგა: მეთორმეტეკლასელები, მერვეკლასელები, მეოთხეკლასელები და პირველკლასელები. მათ ერთი რამ აერთიანებდათ – პირველი მასწავლებელი ციცო კევლიშვილი. ეს დამთხვევა ხელიდან არ გაუშვა ამაგდარმა პედაგოგმა და მათ ერთად მოუყარა თავი. ძირითადი ფუნქცია IV^ბ კლასმა იკისრა. მათ თავიანთ გამოსაშვებ საღამოზე სტუმრად მოიწვიეს XII^ბ კლასელები, ხოლო მომავალი პირველკლასელების წარდგენის პატივი მერვეკლასელებს მიანიჭეს.

ჩვენი დღევანდელი გამოსამშვიდობებელი ღონისძიება განსხვავებული ფორმატისაა. გავიგეთ, რომ ციცო მასწავლებლის ყოფილი მოსწავლეები წელს მეთორმეტე კლასს ამთავრებენ და გადავწყვიტეთ, მივულოცოთ სკოლის დამთავრება და მათ მივუძღვნათ დღევანდელი ზეიმი და კონცერტით გავაცილოთ სკოლიდან. ჩვენი აზრი მათ რომ გავუზიარეთ, მოეწონათ და სიხარულით დაგვთანხმდნენ ჩვენს ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე. ისინი სკოლას გამოემშვიდობებიან, ჩვენ – მეოთხე კლასს, ხოლო მომავალ პირველკლასელებს ციცო მასწავლებელს წარუდგენენ ასევე მისი ყოფილი მოსწავლეები VIII-კლასიდან- ასეთი შესავლით მიმართეს ბავშვებმა დამსწრეთ და ზეიმიც დაიწყო.

პროგრამაში პირველი სიტყვა მამულს ეკუთვნის, მის უანგარო სიყვარულს, მასზე ზრუნვას და მისთვის სიცოცხლეს.

**დამალოცინეთ, ჩემი სამშობლო დამალოცინეთ,**
**ღვინოს დავლევ თუ სანთლებს ავანთებ,**
**მე საქართველო დამალოცინეთ.**
**ქვეყნის გამჩენმა ჩვენ გვარგუნა ლექსით დალოცვა,**
**თავის წილხვედრი მიწა მოგვცა, დაგვანამუსა,**
**არც ერთ ენაზე სადღეგრძელოს არ ჰქვია ლოცვა,**
**მხოლოდ ქართველ კაცს შეუძლია ღვინით დალოცვა!**

დედა ენა-სიბრძნის წიგნი და მისი შემქმნელი უკვდავი იაკობ გოგებაშვილი გულსდაჭდობილი სიყვარულია, რომელიც ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვება.

ამიტომაც უმღერიან პატარები მას საგალობელს:-იაკობი იყო კაცი, კაცი კი არა ღმერთკაცი, რომელმაც 33 მზე აანთო ყოველი ქართველი ყრმის ცაზე და ეს მზე არასოდეს ჩაქრება, რადგან „სანამდე აქვს ენა ქართველს, მანამ ვიტყვი, ცოცხლობს ერი.“

და ეს სიყვარული მამულის, დედა ენის, მოყვასისა და ერთმანეთისა ასწავლა ციცო მასწავლებელმა, რისთვისაც დიდ მადლობას უხდიან და ჰპირდებიან , რომ არ შეარცხვენენ:

დიდი მადლობა, დედავ მეორევ, იმ მშობლიური მზრუნველობისთვის, ჩვენს სულის აღზრდას რომ მოანდომეთ, მეგობრობისთვის, სიყვარულისთვის.

ბავშვები იხსენებენ განვლილ წლებს: ო, ოთხო წელო, დასაფიცარო, ჭიდაობავ და რბენავ მერხებზე, ბავშვობის წლებო, შუბლზე კოპებო და ნაკაწრებო შუბლზე, ხელებზე.

და დაგა განშორების წუთებიც:

**დღეს ბოლო დღეა და ბავშვურ გულებს ჩვენსას გულწრფელი თან ახლავს დარდი,**
**გვეამაყება, რომ თქვენ აღგვზარდეთ, სტრიქონებს შორის ძალგვიძს ნავარდი,**
**მივდივართ, გიტოვებთ სითბოს და სიყვარულს,**
**სიყვარულს, რომელიც თქვენდამი აღგვეძრა,**
**ვფიქრობთ და ფიქრები თავს გვახვევს სინანულს,**
**რომ ეს დრო არასდროს არ გამეორდება.**

დღეს ეს თვალხატულა გოგო-ბიჭები V კლასში გადადიან და ციცო მასწავლებელს ემშვიდობებიან, მეთორმეტეკლასელები კი – ციცო მასწავლებელსაც და სკოლასაც. ამიტომ არის სევდიანი მათი სიხარული. ისინი უმცროს მეგობრებთან ერთად ზეიმში არიან ჩართულნი - მღერიან, ცეკვავენ, მათ პირველკლასელებიც უერთდებიან - თაობა მიდის, თაობა მოდის, გრძელდება გენი, მეტი რა გვინდა? კაცობრიობა რომ არ დაბერდეს, ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!

- დიახ, თაობები მიდიან და თაობები მოდიან, უცვლელი მხოლოდ ეს სცენაა, რომელსაც მრავალი აღზრდილი გაუცილებია და რომელთა არსებობითაც დღემდე ვამაყობთ. დღეს ამ სცენაზე მე ჩემი აღზრდილი სამი თაობა დავაყენე, მეოთხე თაობა კი, პირველკლასელების სახით, უკვე გზაშია. არ მოჰკლებოდეს №1 საჯარო სკოლას არც მეთორმეტეკლასელების გაცილების სევდიანი ბოლო ზარი, არც მეოთხეკლასელების გამოშვების ზეიმი და არც პირველკლასელების გაოცებულიდა გაფაციცებული თვალები, სულ მიდიოდნენ და მოდიოდნენ თაობები – თქვა თავის გამოსვლაში ციცო მასწავლებელმა და გზა დაუოლოცა მეთორმეტეკლასელებს, რომლებმაც ამაგისა და სიყვარულისათვის თავის პირველ მასწავლებელს ღვთისმშობლის ხატი აჩუქეს, რომელზეც ციცო-მასწავლებელი ყოველთვის ილოცებს თავისი აღზრდილებისა და აღსაზრდელებისათვის და მათ წარმატებებს შეავედრებს.

ზეიმს დედოფლისწყაროს რესურსცენტრის დირექტორი ეთერ ზურიკაშვილი, გამგეობის განათლების სამსახურის თანამშრომლები, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ, რომლებმაც დიდი მადლობა გადაუხადეს პედაგოგ ციცო კევლიშვილს იმ შრომისა და ღვაწლისათვის, რომელსაც უკვე 37 წელია, ის №1 საჯარო სკოლაში ეწევა. კვლავაც მრავალი თაობის დაფრთიანება ვუსურვოთ ქალბატონ ციცოს, ბავშვებს კი - ბედნიერი მომავალი და წარმატებები.

ნაირა გორაშვილი

# „მუსიკა გრძნობის სტენოგრამაა“

გაზაფხული მოვა თუ არა, ხელოვნების სკოლის პედაგოგები მუსიკის მოსავალს იმკიან. წელსაც არაერთი ღამაზი საღამოს მომსწრე გავხდი ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გამორჩეული გულისფანცქალით ველი კონცერტის დაწყებას. ცოტა ვღელავ, რადგან მხოლოდ მსმენელის და შემფასებლის ამპლუაში არ ვზივარ მაყურებელთა რიგებში, წელს პირველად სცენაზე ჩემი შვილიც უნდა გამოვიდეს და დაუკრას. ცხადია, ჩემი ემოციაც განსაკუთრებულია. ხელოვნების სკოლის დირექტორი ქალბატონი მარიამ კიკილაშვილი გვამცნობს, რომ კონცერტი პირველი და მეორე კლსის მოსწავლეთა მონაწილეობით გაიმართება და თითოეული მათგანი წლის განმავლობაში ნასწავლი ოთხი ნაწარმოებიდან ერთ მუსიკალურ ნაწარმოებს შეასრულებს. კონცერტი იმაზე საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. ღონისძიება სკოლის პირველკლასელთა გუნდის სიმღერით გაიხსნა, პედაგოგი გახლავთ მარიკა პირზადოვა, კონცერტმეისტერი ნინო სვანაძე. მაიკაპარის, გერჩიკის, კოსენკოს, მერაბიშვილის, ბერკმანის, ჰაიდნის, გუდიაშვილის, შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები დაუკრეს ნატალია ცქიტიშვილმა, ანა ზუბიაშვილმა, ნიკოლოზ გველუკაშვილმა, ელიზავეტა ცქიტიშვილმა, თეკლე ჯინაშვილმა, მარიამ ჭანყოშვილმა, ლიზი ზურაშვილმა, ანა იაკობიშვილმა, ანა გიგოლაშვილმა, ანანო ბიძინაშვილმა, ანა ზუბიაშვილმა, მარიამ სულაშვილმა, გვანცა ყავრელიშვილმა, თამარ პაპაშვილმა, ლიზი ბუთხუზმა, ლიკა ტოკლიკიშვილმა, ნიკოლოზ პაპაშვილმა, სალომე ჯოჯიკაშვილმა, მარიამ ღორაკუდაშვილმა, გიორგი გველუკაშვილმა, ილია შეითნიშვილმა, ანანო ბიკაშვილმა და სხვებმა. პირველკლასელებმა ირაკლი საბიაშვილმა და გურამ გოგაშვილმა კლასიკური ნაწარმოებები შასრულეს ვიოლინოზე, კონცერტმეისტერი თამილა ნადირაშვილი. მოსწავლეებმა წარმოაჩინეს პედაგოგების ირმა ოზაშვილის, ხათუნა პოპიაშვილის,მარიამ კიკილაშვილის, დარეჯან შანშაშვილის, ლია ხაჩიაშვილის, თამარ კიკილაშვილის, ნინო ლაპიაშვილის, ელიზა ხუციშვილის, დალი ხუციშვილის, თამილა ნადირაშვილის, ნინო ლაპიაშვილის, ფატი ქადაგიძის, ნინო ალადაშვილის მიერ მთელი წლის მანძილზე გაწეული პედაგოგიური ღვაწლი.

საინტერესო აღმოჩნდა გუნდის წრის მოსწავლეების წარმოჩენა კლასიკური მუსიკის მოსმენის და ამოცნობის თვალსაზრისით. -„ჩვენს სკოლაში კიდევ ერთი სიახლე დაინერგა. პირველ კლასში გუნდის გაკვეთილს დაემატა დრო, კლასიკური მუსიკის მოსმენისთვის, ჩვენმა პირველკლასელებმა არათუ უამრავი მუსიკალური მასალა მოისმინეს, არამედ მთელი გულით შეიყვარეს კლასიკური მუსიკა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ კონცერტზე მოგვეწყო კონკურსი სათაურით „აბა გამოიცანი“-აღნიშნა კონცერტის მსვლელობისას მარიამ კიკილაშვილმა და აქვე სახელდახელოდ მოეწყო კლასიკური მუსიკის მოსმენა. მოსწავლეებმა კი ამოიცნეს ჩაიკოვსკის მაკნატუნა და გია ყანჩელის კომპოზიციები. ყველაზე აქტიური კომპოზიტორთა ნაწარმოებების ამოცნობის თვალსაზრისით მოსწავლე ირაკლი საბიაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა, აქტიურობდნენ ასევე მოსწავლეები თეკლე ჯინაშვილი, ელიზავეტა ცქიტიშვილი, მარიამ ყოჩიაშვილი და ელენე ღვნიაშვილი, რომლებმაც პედაგოგ მარიკა პირზადოვასთან ერთად სიგელები დაიმსახურეს.

ნოვაცია აღმოჩნდა ასევე ღონისძიებაზე მოსწავლის და მშობლის მიერ ერთად შესრულებული საკონცერტო ნაწარმოებების გამოტანა. ნატალია პატაშურმა წაიკითა ლექსი „ჟუჟუნა წვიმა“ და ასევე დედიკოსთან ერთად შეგვისრულა მუსიკალური ნომერი, ხოლო კენჭიაშვილის დავლური შეასრულა მოსწავე ლანა მენთეშაშვილმა დედიკოსთან ერთად.

კონცერტმა ძალიან დიდი სიხალისე შესძინა პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების იქ გატარებულ რამდენიმე საათს და თავისი ხიბლი – რაიონის კულტურულ ცხოვრებას. ამ დღემ ისეთი ემოციები მიანიჭა ყველას, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ლევ ტოლსტოის მიერ საუკუნის წინ წარმოთქმულ სიტყვებში, - „მუსიკა გრძნობის სტენოგრამაა“.

ლალი მეხრიშვილი

# იყავით საქართველოს ღირსნი

სამშობლოს სიყვარულის თემას მიეძღვნა ღონისძიება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, სადაც პედაგოგმა ნინო სიფრაშვილმა აქტიური მოსწავლეები შემოიკრიბა და მშვენიერი ღონისძიება გამართა.

ღონისძიება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა თამარ ლაპიაშვილმა გახსნა. ქალბატონმა თამარმა დასაწყისშივე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლიდან გამოგზავნილი სიგელები გადასცა იმ მოსწავლეებს, რომლებმაც ცოტა ხნის წინ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის 70-ე შემოქმედებით კონფერენციაზე, დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის და ეთნოგრაფიის პედაგოგის ნინო მეხრიშვილის ხელმძღვანელობით წარადგინეს თემები. ესენი იყვნენ დედოფლისწყაროს პირველი და მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეები და ასევე ოზაანის, სამთაწყაროს, ზემო და ქვემო ქედის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

საქართველოს დროშებით ხელდამშვენებული, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ბავშვები საკმაოდ ლამაზი სანახავები იყვნენ. შესრულდა ცეკვა „დაისი“ და სხვადასხვა ხალხური ცეკვები, დაუკრეს ფანდურზე და უმღერეს სამშობლოს, მშობლიურ მიწა-წყალს მიუძღვნეს ტკივილამდე სულშიჩამწვდომი ლექსები. შესრულდა კლასიკური მუსიკა ვიოლინოს თანხლებით. ღონისძიება სასიამოვნო ნოტაზე დასრულდა, მონაწილე ბავშვებს გაწეული შრომისთვის გადაეცათ სიგელები და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები ნინო მასწავლებელთან ერთად. ეს დღე აუცილებლად აისახება და თავის დადებით კვალს დატოვებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეების პატრიოტული სულისკვეთების პიროვნებად აღზრდასა და ჩამოყალიბებაში.

ლალი მეხრიშვილი

# საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო – რა შეზღუდვებს ითვალისწინებს კანონი

2016 წლის 8 ივნისს ოფიციალურად გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების დანიშვნის შესახებ. შესაბამისად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია, რა დროსაც პოლიტიკურ პარტიების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და ხელისუფლების ორგანოების მიმართ ამოქმედდა სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი.

წინასაარჩენო კამპანია (აგიტაცია)

• წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) პერიოდში პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვთ: დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვა.

აკრძალულია საარჩევნო მასალის გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა და წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა.

• პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით.

საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, მოწოდებას არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ.

• წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა:

ა) საარჩევნო კომისიის წევრისა;

ბ) მოსამართლისა;

გ) საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეებისა;

დ) გენერალური აუდიტორისა;

ე) საქართველოს სახალხო დამცველისა;

ვ) უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისა;

ზ) საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებისა;

თ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებისა — სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს;

ი) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებისა.

• აკრძალულია წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარება შემდეგი დაწესებულებების შენობებში:

ა) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები;

ბ) სასამართლოები;

გ) სამხედრო ნაწილები.

• ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო¬ები ვალდებული არიან:

1) ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებების უსაფრთხოება.

აკრძალულია ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა. ასეთი ქმედება ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად.

2) წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა გაასაჯაროოს მიღებიდან 2 დღის ვადაში, ასევე უზრუნველყოს ამ შენობა-ნაგებობების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა პოლიტიკური პარტიისა და საარჩევნო სუბიექტისათვის და მათთან შეთანხმებით შეადგინოს საარჩევნო ღონისძიებათა განრიგი. აღნიშნული შენობა-ნაგებობების ნუსხა უნდა გამოქვეყნდეს ცესკოს ვებგვერდზე.

სააგიტაციო მასალა

• სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვე¬ვაში.

აკრძალულია:

- სააგიტაციო მასალის განთავსება საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;

- ტოტალიზატორის გამართვა არჩევნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

• ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, აგრეთვე განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი.

• დაუშვებელია და კანონით ისჯება სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ იგი აკრძალულ ადგილას არის განთავსებული.

დღეიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია:

ა) საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ, პირადად ან ვინმეს მეშვეობით, საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე მათი დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის და¬პი¬¬რებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა);

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა (გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების გაწევისა), რომელიც განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწეოდა ამგვარ აკრძალულ საქმიანობას, სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა

ნებისმიერ პირს ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება; მათ შორის, იკრძალება:

- სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების გამოყენება, თუკი სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;

- სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;

- სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება იმ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შემთხვევაზე, რომელთა დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

• წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება. კერძოდ:

ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან არჩევას;

ბ) ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა;

გ) წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე (საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და მთავრობათა ხელმძღვანელები, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი (გამგებელი/მერი)), აგრეთვე ტელერადიომაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის გამოყენების შემთხვევაზე.

• 2016 წლის 9 აგვისტოდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები მანამდე ფინანსდება ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით.

ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.

• 2016 წლის 9 აგვისტოდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა (შემოღება) ან/და შეღავათების დაწესება, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით მანამდე იყო გათვალისწინებული.

ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.

ეს „საბიუჯეტო“ შეზღუდვები არ ვრცელდება სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და ამ კანონის შესაბამისად სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ საარჩევნო უბნების მოწყობის დაფინანსებაზე.

• აკრძალულია ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო- ან აუდიომასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, სადაც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი/პოლიტიკური პარტია ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი, ან/და რომელიც შეიცავს მათ მხარდასაჭერ თუ საწინააღმდეგო ინფორმაციას.

• აკრძალულია ბიუჯეტის სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება.

• საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლიდან (2016 წლის 8 სექტემბერი) კენჭისყრის დამთავრებამდე აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მათ გაუვიდათ უფლებამოსილების ვადა ან დაარღვიეს კანონი.

# სპორტული ქრონიკა

მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებათა თამაშები გაიმართა ქალაქ ბათუმში, რომელიც ოთხ სხვადასხვა სტილში მიმდინარეობდა. წარმოდგენილი იყო შერეული ორთაბრძოლები, კ-1, ჯიუჯიცუ, და კარატე. ასპარეზობაში დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმაც მიიღეს მონაწილეობა და წარმატებებიც მოიპოვეს.

დედოფლისწყაროს უშუს გუნდის სპორტსმენმა სერგო პეტროსიანმა (მწვრთნელი გიორგი ცისკარაული) შერეულ ორთაბრძოლებში (MMA) მეორე ადგილი დაიკავა (16-17 წ. 61კ გ კატეგორია).

შეჯიბრებაზე ოთხივე სტილში მონაწილეობას იღებდა ოცდაათამდე ქვეყნის 1500 სპორტსმენი. შეჯიბრების ორგანიზატორი იყო საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაცია. (პრეზიდენტი კახა ბასილია) შეჯიბრებას საპატიო რანგში ესწრებოდა ყატარის პრინცესა, ასევე საქართველოს მთავრობის წევრები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი.

„შეჯიბრება უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. შესაძლოა, ჩვენს გულშემატკივარს გაუჩნდეს კითხვა, რატომ ავიღეთ მეორე და არა პირველი ადგილი?! ამასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება მინდა გავაკეთო. ამ შეჯიბრებაზე მონაწილეობისთვის ჩვენი გუნდიდან ვამზადებდით ნიკა ჩიტიშვილს, მზადება უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა, სამწუხაროდ, შეჯიბრებამდე ერთი კვირით ადრე, ნიკა ჩიტიშვილმა მარცხენა ხელის ცერა თითი მოიტეხა, რის გამოც ვეღარ შეძლებდა ბათუმში გამგზავრებას. ამის გამო მოგვიწია მისი სხვა სპორტსმენით ჩანაცვლება. შეჯიბრებისთვის სათანადოდ მოსამზადებლად სერგო პეტროსიანს მხოლოდ ერთი კვირა ჰქონდა. თუმცა, ამის მიუხედავად, მან ადვილად დაამარცხა აზრბაიჯანელი სპორტსმენი. ფინალურ ბრძოლაში, რომელიც ასევე მის სასარგებლოდ მიმდინარეობდა, მცირე დეტალების გამო ფინალური ბრძოლის დათმობა მოუწია. თუმცა, ვფიქრობ, რომ არც ესაა ცუდი შედეგი.

მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებათა თამაშებზე მონაწილეობის ხარჯები მთლიანად დააფინანსა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ცენტრის ხელმძღვანელს ავთანდილ ხუმარაშვილს. გახსოვთ, რომ ვიდრე უშუს გუნდი დედოფლისწყაროს ბიუჯეტის დაფინანსებაზე გადავიდოდა, მგზავრობის ხარჯები ჩვენთვის მძიმე ტვირთი იყო და მათი უზრუნველყოფა სპორტსმენების მშობლებს უწევდათ. ხშირად ოჯახები ვერ ახერხებდნენ გამგზავრების ხარჯების დაფარვას, რის გამოც, ზოგჯერ ვერ ვიღებდით მონაწილეობას სხვადასხვა ტურნირებში. ახლა კი ადგილობრივ ბიუჯეტში ეს ხარჯები გაწერილია და სპორტსმენებს უფრო მეტი მოტივაცია აქვთ, რომ ყველა ასპარეზობაში მივიღოთ მონაწილეობა და გაცილებით უკეთეს შედეგს მივაღწიოთ. ასევე დიდი მადლობა ყველა ჩვენს გულშემატკივარს და ყველას, ვისაც ჩვენი წარმატება გაუხარდა," - აღნიშნა დედოფლისწყაროს უშუს გუნდის მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა.

ამას გარდა, 5 ივნისს დედოფლისწყაროს უშუს გუნდი სიღნაღის რაიონში იმყოფებოდა. მათ წნორში საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზეს კიკბოქსინგში. ჩვენი გუნდიდან მონაწილეობას იღებდა 6 სპორტსმენი, შეჯიბრების ჩემპიონი სამი მებრძოლი გახდა: ბექა გონაშვილი, ლუკა ჯანიბეგაშვილი და დათო გლახოშვილი, ხოლო მეორე ადგილები წილად ხვდათ: სერგო პეტროსიანს, პეტრე წიკლაურს და თამაზ ღვინიაშვილს.

ილია მარტყოფლიშვილი

## მინი ფეხბურთი

12 მაისს დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ტურნირი მინი-ფეხბურთში „კოკა-კოლას" თასზე საჯარო სკოლების გუნდებს შორის, სადაც მონაწილეობდნენ გოგონებიც და ვაჟებიც. შეჯიბრის გამარჯვებული გახდა არხილოსკალოს საჯარო სკოლის გუნდი(დირექტორი მაია სიდამონიძე, მწვრთნელი შალვა ჩოხელი). ფინალური შეხვედრა ჩატარდა 26 მაისს ყვარელში, სადაც გოგონებისა და ვაჟების გუნდები გავიდნენ მეორე საპრიზო ადგილზე, რაც უდაოდ დიდი წარმატებაა.

ვულოცავთ ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს ამ გამარჯვებას და კვლავაც უამრავ წარმატებას ვუსურვებთ.

## კიკბოქსინგი

5 ივნისს, ქ. წნორში ჩატარდა ტურნირი კიკბოქსინგში 2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანისა და საქართველოს სპორტსმენები. ტურნირი საუკეთესოდ იყო ორგანიზებული და მას საერთაშორისო სახე ჰქონდა. ზემო მაჩხაანის კლუბ „ზაქებს" წარმოადგენდა სანდრო ნატრშვილი, რომელსაც კარგად იცნობს მკითხველი. ის ორთაბრძოლის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებით ამთავრებს შეხვედრებს. ამ დღესაც მან საუკეთესო შედეგი აჩვენა და ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა 72 კგ. წონით კატეგორიაში.

## ულოცავენ!

### ეთიკო ლიქოკელს!

ჩემო სიხარულო, ჩემო ფანტაზიორო, შენი მშობლების პირველო სიხარულო,ეთიკო, გილოცავ სკოლის დამთავრებას, წარმატებებს გისურვებთ ცხოვრებაში,სულ ია-ვარდებით მოფენილი გზა გქონოდეს. მუდამ გიღიმოდეს ბედი, თბილი, ტკბილი ოჯახის გამხარებელი უნიჭიერესი გოგო ხარ.

გისურვებ ყოველივე კარგს.

**შენი ბებო:** ეთერ ნაროზაული-ლიქოკელი.

## მადლიერება!

გასულ შაბათს, 4 ივნისს მოსულმა ძლიერმა ნალექმა ეზო და სამეურნეო სათავსოები ისე დამიტბორა, ვერაფრით გავუმკლავდი. დავრეკე გამგებელთან და დახმარება ვთხოვე. მან გულდასმით მომისმინა და დამაიმედა, რომ საშველად შესაბამისი სამსახურები სასწრაფოდ მოვიდოდნენ. მართლაც, 10 წუთიც არ იყო გასული, სამაშველო სამსახურის თანამშრომლები მოვიდნენ, მოიტანეს ტექნიკა და წყალი ამოტუმბეს. მალევე მოვიდნენ გამგებლის მოადგილე სოლომონ ღორაშვილი და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი დავით ფხოველიშვილი. მათ ზარალის დათვლა და აქტის შედგენა შემომთავაზეს. მე აქტის შედგენაზე უარი ვთქვი, რადგან ზარალი უმნიშვნელო იყო. აქვე ვთხოვე, იქნებ მოეგვარებინათ პრობლემა, რომელიც გზის რეაბილიტაციამ ჩვენს ოჯახს შეუქმნა. რამდენიმე პირად დაგებული ასფალტის გამო სავალი გზა ამაღლდა და ზემოთ მდებარე მთის და გოგებაშვილის ქუჩებიდან მოვარდნილი ნიაღვარი ჩვენს ეზოში შემოდის.

იმ დღეს გაწეული დახმარებისთვის მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო გამგებელს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს, სამაშველო სამსახურის უფროსს ზურაბ ლაპიაშვილს, იმ ახალგაზრდებს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობდნენ და მათმა ოპერატიულობამ სერიოზული ზარალისგან მიხსნა. მადლობა ყველა ადამიანს, ვინც გულთან მიიტანა ჩემი გასაჭირი და მხარში დამიდგა. დიდი ხანია, მე რაიონის ხელმძღვანელობასთან კონტაქტი არ მქონია, რადგან პენსიონერი ვარ და, ძირითადად, სახლში ყოფნა მიწევს. გამიხარდა, რომ ჩვეს რაიონს ასეთი შეგნებული, დახვეწილი და ზნეკეთილი ადამიანები მართავენ. წარმატებებს ვუსურვებ მათ თავიანთ საქმიანობაში ყველას.

მედეა კვარაცხელია-ბიკაშვილი,
**ექიმი პედიატრი**

რედაქციის მინაწერი: ***ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორია ამ ოჯახის პრობლემის მოგვარების სამართლებრივი გზები, რაზეც მივიღეთ პასუხი, რომ ეზო კერძო ტერიტორიაა და მისი უსაფრთხოების ზომებზე მეპატრონემ თავად უნდა იზრუნოს.***

## ბიზნეს განცხადება

ინდმეწარმე „გიორგი კიკილაშვილი" დედოფლისწყაროს რაიონის მოსახლეობას თავაზობს თანამედროვე ფარდა- ჟალუზების დამზადება-მონტაჟს. ფარდის ფერს და დიზაინის შერჩევას მოქალაქე მოახდენს როგორც კატალოგის, ასევე დამზადებული ნიმუშების ვიზუალური დათვალიერებით.

**საამქროს მისამართია:** ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის N4 (სამხედრო კომისარიატთან)

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: ☎ 557 35 59 53 (გიორგი), ან 557 38 61 00 (ნიკა).

**ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით მალე დაიწყება ქ. დედოფლისწყაროში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მოხატვა. შესასრულებელი სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით გახსნილია ანგარიშები, რომელზეც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ჩარიცხოს თანხა. შევეწიოთ ამ მნიშვნელოვან საქმეს.**

ლარის ანგარიშის რეკვიზიტები
ს.ს. „თიბისი ბანკი"
საბანკო კოდი- TBCB GE22
მიმღების დასახელება-დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი ანგარიშსწორების ანგარიში- GE 64 TB 7941036080100004

FOR USD TRANSFER

თიბისი ბანკი TBC BANK

| | | |
|---|---|---|
| INTERMEDIARY: | CITIBANK N.A.<br>NEW-YORK, USA<br>SWIFT: CITIUS33<br>ABA: 021000089 | DEUTSCHE BANK TRUST COMPANY AMERICAS<br>NEW-YORK, USA<br>SWIFT: BKTRUS33<br>ABA: 021001033 |
| BENEFICIARY'S BANK: | HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22<br>JSC "TBC Bank", Head Office<br>SWIFT: TBCBGE22 | |
| BEN'S Account: | GE92 TB79 4103 6180 1000 01 | |
| NAME OF BENEFICIARY: | DEDOPLISTSKARO VIRGIN CATHEDRAL CHURCH | |

## ამინდი

### დედოფლისწყარო

| ორშაბათი 13.06 | | სამშაბათი 14.06 | | ოთხშაბათი 15.06 | | ხუთშაბათი 16.06 | | პარასკევი 17.06 | | შაბათი 18.06 | | კვირა 19.06 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 17 ° | 16 ° | 20 ° | 18 ° | 21 ° | 19 ° | 22 ° | 20 ° | 23 ° | 22 ° | 25 ° | 23 ° | 25 ° | 22 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.